



**საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**



KA010112758499718

02 / ნოემბერი / 2018 წ.
1233/ს

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული მერქნული რესურსის (სოჭის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 120.40 - მ3) საკუთრებაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N382) გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46¹-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2018 წლის 15 იანვრის დასკვნის N5000210818, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2018 წლის 25 ოქტომბრის N13/42078 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N382 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის მართვას დაქვემდებარებულ ხაიშის სატყეო უბნის, ორმღეთის სატყეოს N68 კვარტალში ,(ლიტერი 9) სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 120.40 მ³ წიწვოვანი სახეობის (სოჭის ჯიშის I; II; III და IV ხარისხი) მერქნული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ტყითსარგებლობისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტს (გ.ხაბეიშვილი) სსიპ “საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს”, ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ.კიწმარიშვილი) სსიპ “ეროვნული სატყეო სააგენტოს”, ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

